არხ TVP S.A. გადაცემებში განხილული უნარშეზღუდულთა პრობლემები

პოლონეთის ტელევიზია S.A. მრავლალი წლის განმავლობაში, თავის გადაცემებით ეხება უნარშეზღუდულთა პრობლემატიკას. პრობლემების განხილვა და მათზე დისკუსია ხდება ყველა ტიპის გადაცემებში. ამის გარდა სპეციალურად ამ თემატიკისათვის ეწყობა გადაცემები, რომლებშიც უშუალოდ მონაწილეობენ უნარშეზღუდული პირები.

ამ თემატიკის განხილვა ხდება მრავალი ტიპის გადაცემების ტრანსლირების დროს. მაგალითად: პუბლიცისტური და საინფორმაციო-შემეცნებითი გადაცემების დროს, რეპორტაჟებში და ფილმებშიც კი.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს აგრეთვე ფაბულა. უნარშეზღუდულთა შესახებ თემატიკა ძალითაა ჩართული ყველაზე პოპულარული სერიალების შინაარსში. ეს გვაძლევს საშუალებს დავანახოთ ხალხს ამ ფენის ცხოვრებისეული პრობლემები.

(მაგ. სერიალი „კლანი", „რანჩო", „მ როგორც სიყვარული[სიტყვა სიყვარული პოლონურად მ ასოზე იწყება]", „კარგი და ბოროტი", „ბედნიერების ფერები"). გარდა პრობლემების ჩვენებისა, ეს სერიალები საშუალებას იძლევა წარმოვაჩინოთ უნარშეზღუდულები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი ნაწილი. იმას თუ გავითალისწინებთ, რომ ამ სერიალებს მილიონობით ხალხი უყურებს, სწორედ ესაა ყველაზე ეფექტური ხერხი საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა.

ერთ-ერთი გამორჩეული ხერხი იმისათვის, რომ ხალხში ავამაღლოთ ცნობიერება უნარშეზღუდულთა პოტენციალის შესახებ, არის სატელევიზიო კამპანიები, რომლელსაც ჩვენი არხი აქტიურად გადმოსცემს თავისი ეთერით.

ვზრუნავთ აგრეთვე იმისათვის, რომ ჩვენი გადაცემების მოსმენა თუ ყურება შეეძლოთ უნარშეზღუდულებსაც. ამისათვის ვიყენებთ სუბტიტრებს, აუდიოსკრიპტსა და ვთარგმნით ჩვენს გადაცემებს ჟესტების ენაზე. ამ საქმეს ემსახურება აგრეთვე ჩვენი ტელევიზიის ვებგვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია ტექსტური ფორმატით- უსინათლოებისა და მკაფიო ფერების ფორმატში- მხედველობის დაქვეითების სხვა ფორმების მქონე ადამიანებისათვის. ამ ფორმატების გააქტიურება შეიძლება ვებგვერდის მთავარი გვერდიდან.

ჩვენი კეთილი სურვილები დაფასებულია საზოგადოების მიერ, რასაც ამტკიცებს პოლონეთის ტელევიზიისათვის გადაცემული მედალი „ინტეგრაციის მეგობარი".

საიუბილეო გალა კონცერტზე, რომელიც მიძღვნილი იყო ინტეგრაციის თანამეგობრობის დაარსების 20 წლის თავს და რომელიც ჩატარდა 6.11.2014 წელს ვარშავაში. ამ გალაში მონაწილე ჟიურიმ პოლონეთის ტელევიზია აღიარა **„უნარშეზღუდულთა საზოგადოებიდან გარიყვის წინააღმდეგ მებრძოლ**

გამორჩეულ კომპანიად“ ამის დასამტკიცებლად ჩამოთვლილ იქნა ჩვენი ტელევიზიის მრავალფეროვან გადაცემათა ნუსხა, რომელიც მიძღვნილია უნარშეზღუდული ადამიანებისათვის. დაწყრილებითი ინფორმაცია ამ გადაცემების შესახებ წარმოდგენილია მცემულ ლინკზე.